საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გომა

გომა, მთა შავშეთის ქედის ჩრდ. განშტოებაზე, მდინარეების ტბეთისა (ჩირუხისწყლის მარცხ. შენაკადი) და დიდღელის (მერისის მარცხ. შენაკადი) წყალგამყოფზე, შუახევის მუნიციპალიტეტში. სიმაღლე ზ. დ. 2360 მ.

აგებულია პალეოგენური ვულკანური ქანებით (ტუფ-ბრექჩიები, ტუფები, ანდეზიტური განფენი). გ. გუმბათის ფორმისაა. კალთები ციცაბოა, დაფარული ფართოფოთლოვანი ტყით; წვერზე სუბალპ. მდელოა.

დ. უკლება